საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის შუალედური ანგარიში

ივნისი-აგვისტო

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის შუალედური ანგარიში

ივნისი-აგვისტო

ანგარიში მომზადდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, „ღია საზოგადოების ფონდის“ (OSGF) ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემის შინაარსზე პასუხისმგებელია საია და მასში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას.

თბილისი
2020

კვლევის ხელმძღვანელები:	**სულხან სალაძე**
	ვახუშტი მენაბდე
ავტორთა ჯგუფი:	
წამყვანი მკვლევარი:	**მარიამ ლაცაბიძე**
მკვლევარები:	**კოკა კიღურაძე**
	გვანცა ჯიქია
	ნანა ჭანტურია
რედაქტირება:	**ნინო ჯავახიშვილი**
დიზაინი:	**ხათუნა ყვირალაშვილი**

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ჯ.კახიძის ქ. N15, თბილისი, საქართველო, 0102
+995 322 936101
www.gyla.ge

© საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია / 2020

სარჩევი:

შესავალი..... 5

1. სახელმწიფოსა და პარტიის გამიჯვნის მოთხოვნის უგულებელყოფა..... 7

2. ამომრჩევლის მოსყიდვა..... 11

3. ძალადობრივი ქმედებები, დაძაბული არჩევნებისწინა გარემოს შექმნა და წინასაარჩევნო აგიტაციაში ხელშეშლა..... 16

4. სხვა ფაქტები..... 21

შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ 2020 წლის მარტიდან დაიწყო პროექტის - „გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისია 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის საქართველოში“ იმპლემენტაცია. პროექტის მიზანია სამართლიანი, თანასწორი და კონკურენტული წინასაარჩევნო გარემოს ხელშეწყობა არჩევნების წინა პერიოდის მონიტორინგის გზით. გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში, ორგანიზაცია წინასაარჩევნო გარემოს 9 რეგიონული მონიტორის მეშვეობით თბილისში, აჭარაში, გურიაში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, იმერეთში, შიდა და ქვემო ქართლში, მცხეთა-მთიანეთსა და კახეთში აკვირდება. მონიტორების დახმარებით საია უზრუნველყოფს სანდო და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ინფორმაციის მიწოდებას საზოგადოებისთვის.

წინამდებარე ანგარიში მოიცავს 2020 წლის ივნისიდან აგვისტომდე გამოვლენილ დარღვევებს ან ისეთ ქმედებებს, რომელიც თავისთავად კანონდარღვევას არ წარმოადგენს, მაგრამ ცუდი პრაქტიკაა და ამახინჯებს არჩევნებისწინა გარემოს.

COVID-19 გამოწვეული პანდემია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პოლიტიკური სუბიექტების ქცევაზე. ამგვარ ვითარებაში ამომრჩევლის მხარდაჭერის მოსაპოვებლად ბრძოლის გამოცდილება ქართულ რეალობაში არ არსებობს. ამიტომ სახელმწიფოს, პარტიებს, მედიას, სადამკვირვებლო მისიებსა და მოქალაქეებს ახალ რეალობასთან მორგება და უცხო გამოწვევებთან გამკლავება უწევს.

განსაკუთრებული პრობლემა სახელმწიფოს მხრიდან კრიზისის შედეგების შესარბილებლად გადადგმული ნაბიჯებია. მთავრობას ეკისრება ვალდებულება, ასეთ დროს მკვეთრი ზღვარი გაავლოს სახელმწიფოსა და პარტიას შორის. სამწუხაროდ, საქართველოში ეს ვერ მოხერხდა. ხელისუფლებამ ანტიკრიზისულ აქტივობებს პერსონიფიცირებული ხასიათი მისცა და მის საკუთარ თავთან აფილირებას ხელი შეუწყო. შესაბამისად, მის მიერ გადადგმული ნაბიჯები, რიგ შემთხვევებში, კამპანიის ნაწილად და ამომრჩევლის ნებაზე მანიპულაციად აღიქმებოდა.

კანონმდებლობის მიხედვით, აგიტაციად მხოლოდ ის პოლიტიკური აქტივობები ითვლება, რომელიც კენჭისყრის დღემდე 60 დღით ადრე ტარდება. ამ წესით ისარგებლა მმართველმა პარტიამ და რამდენიმე შემთხვევაში შეზღუდვების ამოქმედებამდე მცირე ხნით ადრე საკუთარ აქტივობებში საჯარო რესურსი გამოიყენა. ასეთი პრაქტიკა საარჩევნო პროცესის მიმართ ნდობას ამცირებს.

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა ამომრჩევლის მოსყიდვის არაერთი ფაქტი, როგორც ხელისუფლების წარმომადგენლების, ასევე ოპოზიციური პარტიების მხრიდან. მათგან ყველაზე ფართომასშტაბიანია პარტია „ლელოს“ მიერ ორგანიზაცია „მოძრაობა მომავლისთვის - მომოს“ მეშვეობით გაცემული ჰუმანიტარული დახმარებები მთელს საქართველოში. სხვა შემთხვევები უკავშირდება პარტიებს „ქართული ოცნება“, და „პატრიოტთა ალიანსი“.

წინა არჩევნების მსგავსად, საიას სადამკვირვებლო მისიისთვის ძალადობრივი ქმედებისა და არჩევნებისწინა პერიოდში დაძაბული გარემოს შექმნის რამდენიმე ფაქტი გახდა ცნობილი. ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ ისინი ეფექტიანად და მაქსიმალურად მჭიდრო ვადებში უნდა გამოიძიოს შესაბამისმა ორგანოებმა. ეს არსებითად გააუმჯობესებს წინასაარჩევნო ვითარებას და პრევენციულ გავლენას იქონიებს მომდევნო თვეებში კამპანიის მშვიდად წარმართვაზე.

არჩევნების მოახლოებასთან ერთად, გაჩნდა არჩევნებისწინა აქტივობებში ხელშეშლის ცალკეული შემთხვევები, როდესაც ოპოზიციურ პარტიებს, „ლელოს“ და „მოძრაობა ხალხისთვის“ წარმომადგენლებს, არ მიეცათ ღონისძიებების გამართვის საშუალება. ეს კიდევ უფრო ამძაფრებს ისედაც დაძაბულ საარჩევნო გარემოს და სამართლიანი პოლიტიკური კონკურენციის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯია. ამ მიმართულებით აღსანიშნავია ხელვაჩაურში ოპოზიციონერი საკრებულოს წევრის უფლებამოსილების დაუსაბუთებელი შეწყვეტა.

საერთო ჯამში, საიას დამკვირვებლებმა როგორც მმართველი პარტიის, ისე ოპოზიციის მხრიდან დააფიქსირეს:

- სახელმწიფოსა და პარტიის გამიჯვნის მოთხოვნის უგულებელყოფის 5 შემთხვევა (მათ შორის, COVID-19-ის შედეგების აღმოფხვრის ანტიკრიზისული გეგმა);
- ამომრჩევლის მოსყიდვისა და სავარაუდო მოსყიდვის 5 შემთხვევა;
- ძალადობრივი ქმედებების, დაძაბული არჩევნებისწინა გარემოს შექმნისა და წინასა-არჩევნო აგიტაციის ხელის შეშლის 6 შემთხვევა.

სხვა ფაქტები შეეხებოდა ისეთ შემოწირულებას, რომლის კანონიერებაზეც კითხვები არსებობს, ასევე, პარტიის რეგისტრაციას, არჩევნებით მანიპულირებას, პარტიების პოლიტიკური გამოხატვის თავისუფლებას. ამ და სხვა საკითხებზე უფრო დეტალურად ქვემოთ იხილავთ.

1 სახელმწიფოსა და პარტიის გამიჯვნის მოთხოვნის უგულებელყოფა

მთავრობის ანტიკრიზისული გეგმა და საზოგადოებასთან კომუნიკაცია

საქართველოს მთავრობამ 2020 წლის 6 აგვისტოს, CODVID-19-ის შედეგების წინააღმდეგ მიმართული, ანტიკრიზისული გეგმის მესამე ეტაპი გააცნო საზოგადოებას.[1] გეგმა სოციალური მხარდაჭერის რამდენიმე მსხვილ მიმართულებას მოიცავს.[2] საია მიიჩნევს, რომ ხელისუფლება ვალდებულია, კრიზისისგან მიყენებული დარტყმების შესარბილებ-ლად საზოგადოებისთვის სოციალური დაცვის მექანიზმები შეიმუშაოს. თუმცა, ასეთ დროს ყოველთვის არსებობს საფრთხე, რომ მმართველმა პარტიამ ანტიკრიზისული პაკეტები წინასაარჩევნოდ ამომრჩევლის მანიპულირებისთვის გამოიყენოს. ამის დასაზღვევად, სულ ცოტა, აუცილებელია, მთავრობამ:

(1) საზოგადოებასთან კომუნიკაციის დროს მკაფიო ხაზი გაავლოს სახელმწიფოს მხარდაჭერასა და პარტიულ ინიციატივებს შორის. ცხადი უნდა იყოს, რომ სოციალური პროგრამების შემუშავება სახელმწიფოს ვალდებულებაა და არა მმართველი პარტიის კეთილი ნება;

(2) დაარწმუნოს საზოგადოება, რომ მის მიერ წინასაარჩევნოდ გადადგმული ნაბიჯები გრძელვადიანი ანტიკრიზისული გეგმის ნაწილია და არა ამომრჩევლის გულის მოსაგებად გამიზნული მანიპულაციები.

სამწუხაროდ, მოცემულ შემთხვევაში ხელისუფლებამ ვერ შეძლო ამ ტესტის ჩაბარება, მეტწილად, მმართველი პარტიის თავმჯდომარის როლზე მუდმივი აქცენტირების გამო. ამის მაგალითია პრემიერმინისტრის ოფიციალურ Facebook-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, ასეთი მასშტაბური სოციალური მხარდაჭერა შესაძლებელი გახდა „StopCov ფონდში“, მათ შორის, ბიძინა ივანიშვილის მხარდაჭერით.[3] იქამდე მან ეს უშუალოდაც განაცხადა.[4] ფაქტობრივად, იგივე პოზიცია ჰქონდა ფინანსთა

[1] „საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 აგვისტოს სხდომა“, საქართველოს მთავრობის ოფიციალური ვებგვერდი, 07.08.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2FlWVIQ, განახლებულია: 07.08.2020.

[2] „საქართველოს მთავრობამ ანტიკრიზისული გეგმის შემდგომი - III ეტაპი შეიმუშავა“, 06.08.2020, საქართველოს მთავრობის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3hbUPZy, განახლებულია: 07.08.2020.

[3] „მორიგი სოციალური პაკეტი“, პრემიერ-მინისტრის ოფიციალურ Facebook ანგარიში, 06.08.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2RbBj4B, განახლებულია: 07.08.2020.

[4] „გიორგი გახარია - ბიძინა ივანიშვილთან ერთად stopcov ფონდში ფინანსების მობილიზება შევძელით, ამან მოგვცა შესაძლებლობა, წლის ბოლომდე მოქალაქეებისთვის სოციალური დახმარება გაგვეწია“, 06.08.2020, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ვებგვერდი, https://bit.ly/2DoejMK, განახლებულია: 07.08.2020.

მინისტრს, როდესაც თქვა, რომ ფინანსურად ამ მასშტაბურ კამპანიას ზურგს ფონდის მთავარი შემომწირველი (იგულისხმება ყოფილი პრემიერი) უმაგრებს.[5]

საია მიიჩნევს, რომ ასეთი შინაარსის გზავნილებით ხელისუფლება ანტიკრიზისულ ნაბიჯებს პერსონიფიცირებულ ხასიათს აძლევს და ხელს უწყობს სოციალური მხარდაჭერის კონკრეტული პარტიის კეთილ ნებასთან აფილირებას მაშინ, როცა ეს სახელმწიფოს მინიმალური ვალდებულებაა. ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ პრობლემა ანტიკრიზისული გეგმის შემუშავებასა და იმპლემენტაციაში კი არა, არამედ ამის შესახებ საზოგადოების ინფორმირების სტრატეგიაშია. ამის გათვალისწინებით, მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილად და ამომრჩევლის მანიპულაციად აღიქმება.

ონკოპაციენტების მკურნალობის დაფინანსების ზრდა

მთავრობის 2020 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით, 2020 წლის 1 სექტემბრიდან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში სიმსივნის სამკურნალო მედიკამენტების ნუსხა გაფართოვდა და ონკოპაციენტისთვის გამოყოფილი დაფინანსების პაკეტი 8 000 ლარით გაიზარდა.[6] ეს პროგრამა 40 000-მდე ადამიანს შეეხო.[7] ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის განცხადებით, ესენი არიან: სოციალურად დაუცველი ოჯახები, პედაგოგები, სახალხო არტისტები, კომპაქტურად ჩასახლებული დევნილები, მზრუნველობამოკლებული ბავშვები, თავშესაფრის ბენეფიციარები, ვეტერანები, 5 წლამდე ასაკის პაციენტები, პენსიონერები, შშმ ბავშვები, მკვეთრად შეზღუდული შშმ პირები და სტუდენტები.[8]

ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვა სახელმწიფოს კონსტიტუციით განსაზღვრული პოზიტიური ვალდებულებაა.[9] ამგვარი გადაწყვეტილებები სახელმწიფომ წლის დასაწყისში ბიუჯეტისა და პროგრამების დაგეგმვის დროს უნდა მიიღოს. **არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე ასეთი ინიციატივა, მმართველი პარტიის კამპანიის მიზნებიდან გამომდინარე, ამომრჩევლით მანიპულირებისა და არჩევნების შედეგებზე გავლენის მოხდენის მიზანს ემსახურება.**

თავდაცვის სამინისტროს მიერ მოქალაქეებისთვის დავალიანების ჩამოწერა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2020 წლის 31 აგვისტოს განცხადებით, მოქალაქეებს სსიპ „გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტლის“ მიმართ 2009 წლიდან სხვადასხვა მომსახურებისთვის

[5] „ივანე მაჭავარიანი - იცით, როგორ ფორმირდებოდა კოვიდის ფონდი და ვინ იყო მთავარი შემომწირველი“, 06.08.2020, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3gEW43P, განახლებულია: 07.08.2020.

[6] „ონკოლოგიური პაციენტებისთვის მკურნალობის ხელმისაწვდომობა იზრდება“, 20.08.2020, საქართველოს მთავრობის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია https://bit.ly/2QPJHGT, განახლებულია: 03.09.2020.

[7] იქვე.

[8] „ონკოლოგიური დაავადების მქონე პაციენტების მკურნალობისთვის გათვალისწინებული დაფინანსება დღეიდან გაიზარდა“, 01.09.2020, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3lMW3hm, განახლებულია: 03.09.2020.

[9] საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი.

დარიცხული დავალიანება ჩამოეწერებათ.[10] ამ შეღავათით დაახლოებით ათასამდე მოქალაქე ისარგებლებს.[11]

ხელისუფლების ინიციატივა, შეუმსუბუქოს მოქალაქეებს ფინანსური წნეხი, მისასალმებელია, თუმცა არჩევნების წინ ამ ნაბიჯის გადადგმა ამომრჩეველთა გულის მოგებაზე გათვლილი მანიპულაციაა. მინისტრს ამის გაკეთება კენჭისყრის დღის შემდეგაც შეეძლო. აღსანიშნავია, რომ ამ ინიციატივის გასაჯაროების დრო წინასაარჩევნო კამპანიის ოფიციალურად დაწყების წინა დღეა.[12] ეს კიდევ ერთი მანიპულაციაა. ხელისუფლებამ ამით თავი აარიდა იმ რეგულაციებს, რომლებიც ამ დროს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას უკრძალავს.[13] **საია მიიჩნევს, რომ მოქალაქეების მძიმე სოციალური პირობების გამოყენება საარჩევნო მიზნებისთვის მიუღებელია.**

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეების სამსახურში არყოფნა მმართველი პარტიის არჩევნებისწინა შეხვედრის პარალელურად

2020 წლის 31 აგვისტოს, ხელვაჩაურის საკრებულოს წევრმა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატმა აჭარის მაღალმთიანეთიდან, მიშა ბოლქვაძემ, Facebook-ის პირდაპირი ვიდეოჩართვით აჩვენა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის დაცარიელებული შენობა და საჯარო მოხელეების[14] გამოკეტილი კაბინეტები.[15] კადრებში ჩანს, რომ შენობასთან პარალელურად მიმდინარეობდა „ქართული ოცნების“ შეხვედრა, სადაც მმართველი პოლიტიკური პარტიის ლიდერები აჭარის მაღალმთიანეთში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს წარადგენდნენ.[16]

Facebook-ის მიმართვა ჩაწერილია დღის 11:14-11:27 საათებში,[17] რაც ხელვაჩაურის მერიის შინაგანაწესით, სამუშაო დროა. საიას ხელთ არსებული ინფორმაციით, დასახელებული პირებიდან 31 აგვისტოს მხოლოდ მერაბ გვიანიძე იმყოფებოდა შვებულებაში[18] (ორგანიზაციისთვის უცნობია მივლინების შესახებ და სხვა მონაცემები, რომლებიც, შესაძლოა, ამართლებდეს დასაქმებული პირების სამუშაო ადგილზე არყოფნას). ვიდეოში საუბარია, რომ დასახელებული პირები და სხვა საჯარო მოხელეები მონაწილეობდნენ ზემოაღნიშნულ შეხვედრაში, თუმცა მათი იდენტიფიცირება ამ კადრებით შეუძლებელია.

---

[10] „თავდაცვის მინისტრის გადაწყვეტილებით მოქალაქეებს გორის სამხედრო ჰოსპიტლის მიმართ სამედიცინო დავალიანება ჩამოეწერებათ“ თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი, 31.08.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/32N6A3p, განახლებულია: 01.09.2020.

[11] იქვე.

[12] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) იწყება კენჭისყრის დღემდე 60 დღით ადრე. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები 31 ოქტომბერს ტარდება.

[13] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

[14] ვიდეოში ჩანს თეიმურაზ გაწერელიას (იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი), ტარიელ ნაკაშიძის (საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი), მერაბ გვიანიძის (საბიუჯეტო განყოფილების უფროსი), ზეინაბ კაკაბაძის (არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი), ვახტანგ დიასამიძის (ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელი), მერაბ მიქელაძის (ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე), ლიანა ლორთქიფანიძის (სამართლებრივი უზრუნველყოფის უფროსი სპეციალისტის) ჩაკეტილი კაბინეტები.

[15] მიშა ბოლქვაძის ოფიციალური Facebook-ის გვერდი, ვიდეომიმართვა, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3lFueYe, განახლებულია: 02.09.2020.

[16] იქვე.

[17] ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის შინაგანაწესით, სამუშაო დრო 09:00 სთ-დან 18:00 სთ-მდე გრძელდება, ხოლო დღის განმავლობაში მოსამსახურისათვის განსაზღვრულია შესვენების დრო 13:00 სთ-დან 14:00 სთ-მდე. ამ დროის გადატანა დადგენილი არ არის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დასაქმებული მეძუძური ქალია და კვებავს ერთ წლამდე ბავშვს.

[18] ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის 4 სექტემბრის #05/4895 წერილი.

საია მოუწოდებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიას, შეისწავლოს საკუთარი თანამშრომლების სამსახურში არყოფნის მიზეზები, განსაკუთრებით კი, მათი მმართველი პარტიის მიერ მაჟორიტარი კანდიდატის წარდგენაზე დასწრების საკითხი და ბრალდების დაფიქსირების შემთხვევაში გაატაროს შესაბამისი დისციპლინური ღონისძიებები.

ამ შემთხვევამ გამოკვეთა ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა. მართალია, საჯარო მოხელეებსა და საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულ პირებს სამუშაო საათების განმავლობაში „წინასაარჩევნო აგიტაცია“ და „აგიტაციაში მონაწილეობა“ ეკრძალებათ,[19] მაგრამ კანონმდებლობის მიხედვით, აგიტაციად მხოლოდ ის პოლიტიკური აქტივობები ითვლება, რომელიც კენჭისყრის დღემდე 60 დღით ადრე ტარდება.[20] ეს წესი მანიპულირების შანსს ტოვებს – პარტიებს შესაძლებლობა აქვთ, შეზღუდვების ამოქმედებამდე მცირე ხნით ადრე ჩართონ ისინი საკუთარ აქტივობებში. ასეთი პრაქტიკა კი შლის ზღვარს სახელმწიფოსა და პარტიას შორის, რაც არჩევნების სამართლიანად ჩატარებას საფრთხეს უქმნის. ამიტომ **საია მიიჩნევს, რომ კანონი კონკრეტული პერიოდით არ უნდა შემოიფარგლებოდეს და საჯარო მოხელეებსა და საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულ პირებს პარტიულ აქტივობებში ჩართვა ყოველთვის უნდა ეკრძალებოდეთ.**

[19] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-4 ნაწილის „თ“ და „კ“; საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მე-15 მუხლი.

[20] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

2 ამომრჩევლის მოსყიდვა

ჰუმანიტარული დახმარებები („ლელო“)

„მოძრაობა მომავლისთვის – მომო“ არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც 2020 წლის 5 თებერვალს დაფუძნდა და საქველმოქმედო საქმიანობით არის დაკავებული.[21] ორგანიზაციამ 2020 წლის მარტში პანდემიით დაზარალებული ადამიანებისთვის საქველ-მოქმედო კამპანია „დავეხმაროთ ერთმანეთს“ წამოიწყო.[22] კამპანიის ფარგლებში ორგანი-ზაციის სამიზნე ჯგუფს მაღალმთიანი რეგიონები, ოკუპირებულ ტერიტორიებთან არსებუ-ლი სოფლები და ქალაქში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახები, მრავალშვილიანი ოჯახები და მარტოხელა მოხუცები წარმოადგენდნენ. ვინაიდან წინამდებარე დოკუმენ-ტისთვის საანგარიშო პერიოდი მხოლოდ ზაფხულს მოიცავს, საიას გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისია ფართოდ მხოლოდ ერთ შემთხვევას მიმოიხილავს, თუმცა ყველა სხვა ფაქტიც[23] ამომრჩევლის მოსყიდვის მაგალითია.

ორგანიზაციამ 2020 წლის 1-ლ ივნისს მახინჯაურში, სამედიცინო ასოციაცია ,,თანას“ მიუსაფარ დედათა და ბავშვთა სახლის მობინადრეებისთვის სარეცხი მანქანა, წიგნები და სათამაშოები გადასცა.[24]

ორგანიზაცია „მომო“ საჯაროდ აფილირებულია პარტიასთან „ლელო საქართველოსთვის“ და მის ლიდერ, მამუკა ხაზარაძესთან. ორგანიზაციის თავმჯდომარე თეონა

---

[21] ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, ,,მოძრაობა მომავლისთვის“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2CiQiFW, განახლებულია: 09.08.2020.

[22] „მოძრაობა მომავლისთვის იწყებს საქველმოქმედო კამპანიას: „დავეხმაროთ ერთმანეთს", "მოძრაობა მომავლისთვის (მომო)", Facebook-გვერდი, 22.03.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2BR2ldu, განახლებულია: 09.07.2020.

[23] (1) გორის წითელი ჯვრის ოფისისთვის ჰუმანიტარული ტვირთის გადაცემა, რომელიც საოკუპაციო ხაზთან მცხოვრებ მოსახლეობას დაურიგდა, ,,დახმარება საოკუპაციო ხაზთან მცხოვრებ მოსახლეობას“, „მოძრაობა მომავლისთვის (მომო)", Facebook-გვერდი, 07.04.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3efHTQN, განახლებულია: 09.08.2020; (2) ზემო სვანეთში იმ ოჯახებისთვის, ვისაც ეპიდემიის გამო საგაზაფხულო ხვნა-თესვის პროცესი შეუჩერდათ, დახმარების გადაცემა, „მოძრაობა მომავლისთვის" სვანეთში იმ ოჯახების დახმარებას აგრძელებს, ვისაც ეპიდემიის გამო საგაზაფხულო ხვნა-თესვის პროცესი შეუჩერდათ“, „მოძრაობა მომავლისთვის (მომო)", Facebook-გვერდი, 19.05.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2ZcjuHt, განახლებულია: 09.08.2020; (3) ზემო აჭარაში სოფლის მოსახლეობისთვის მაღალი ხარისხისა და გამწეობის ტრაქტორის გადაცემა, „მოძრაობა მომავლისთვის" ჰუმანიტარულ საქმიანობას ზემო აჭარაში აგრძელებს“, „მოძრაობა მომავლისთვის (მომო)", Facebook-გვერდი, 15.05.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2ObheKu, განახლებულია: განახლებულია: 09.08.2020; (4) სოფელ ერგნეთის მცხოვრებლებისთვის სასურსათო დახმარების გაწევა, „არასამთავრობო ორგანიზაცია "მოძრაობა მომავლისთვის" ორგანიზებით და მამუკა ხაზარაძის ფინანსური მხარდაჭერით საოკუპაციო ხაზთან არსებულ სოფელ ერგნეთის მცხოვრებლებს ჰუმანიტარული დახმარება ჩაუტანეს“, „მოძრაობა მომავლისთვის (მომო)", Facebook-გვერდი, 15.05.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2VXAZcA, განახლებულია: 09.08.2020; (5) თემქაზე და ორთაჭალაში დასახლებული დევნილების 150 ოჯახისთვის პროდუქტების, ტკბილეულის და პირველადი მოხმარების ნივთების გადაცემა, „მოძრაობა მომავლისთვის" წარმომადგენლებმა დღეს თემქაზე და ორთაჭალაში დასახლებულ დევნილების 150 ოჯახს გაუწიეს დახმარება“, „მოძრაობა მომავლისთვის (მომო)", Facebook-გვერდი, 23.05.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/321LfEy, განახლებულია: 09.08.2020.

[24] ,,მახინჯაურში, სამედიცინო ასოციაცია "თანას“ მიუსაფარ დედათა და ბავშვთა სახლის მობინადრეებს, საჩუქრად გადავეცით სარეცხი მანქანა“, „მოძრაობა მომავლისთვის (მომო)", Facebook-გვერდი, 01.06.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2ZckAD5, განახლებულია: 09.08.2020.

დოლენჯაშვილი და მმართველთა საბჭოს წევრები - ზაზა ფირალიშვილი და ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი[25] არიან პარტიის „ლელო საქართველოსთვის“ წევრები. ორგანიზაცია მოსახლეობასთან შეხვედრისას იყენებს ამ პარტიის შესაბამის ყვითელი ფერის ატრიბუტიკას,[26] მოსახლეობა კი შეხვედრებისას, ისევე როგორც ორგანიზაციის Facebook-გვერდზე, საჯარო მადლობას უხდის მამუკა ხაზარაძეს და მის ოჯახს გაწეული მატერიალური დახმარებისთვის.[27]

კანონმდებლობის მიხედვით, პარტიას ეკრძალება სხვა პირის მეშვეობით, პირდაპირ ან არაპირდაპირ საქართველოს მოქალაქეებისთვის საჩუქრებისა და სხვა მატერიალურ ან არამატერიალურ ფასეულობათა გადაცემა.[28] პარტიამ „ლელო საქართველოსთვის“ სხვა პირის მეშვეობით საქართველოს მოქალაქეებს არაპირდაპირ გადასცა მატერიალური ფასეულობები.

დევნილთა დახმარება („ლელო“)[29]

2020 წლის 3 ივლისს ორგანიზაციამ „მოძრაობა მომავლისთვის“ საქართველოში ავტორიზებული უნივერსიტეტების 12 გალელ სტუდენტს სტიპენდია დაუნიშნა.[30] ორგანიზაციის მესვეურებმა ინიციატივის მიზეზად პანდემიით გამოწვეული სოციალური სიდუხჭირე დაასახელეს.[31] კანონმდებლობით პარტიას ეკრძალება სხვა პირის მეშვეობით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, საქართველოს მოქალაქისათვის ფულადი სახსრების გადაცემა.[32]

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სრულად აღდგენამდე ქვეყნის ოკუპირებულ ტერიტორიებზე განსაკუთრებული რეჟიმი მოქმედებს. საქართველოს იურისდიქციის შეკვეცა ამ ტერიტორიებზე საარჩევნო პროცესის ადმინისტრირებას შეუძლებელს ხდის. თუმცა ხშირია შემთხვევა, როდესაც ფაქტობრივად ოკუპირებულ ტერიტორიებზე, მათ შორის, გალში, მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიებზე არიან რეგისტრირებულები, არჩევნების პერიოდში კვეთენ ადმინის-ტრაციულ საზღვარს და ხმას აძლევენ. პროცედურული თვალსაზრისით, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის მფლობელი პირები ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეყვანის მიზნით, კანონით დადგენილ ვადაში, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიმართავენ ფაქტობრივი (დროებითი) საცხოვრებლის მითითებით.[33] შესაბამისად, გალში მცხოვრები/რეგისტრირებული საქარ-

---

[25] ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, ,,მოძრაობა მომავლისთვის“.

[26] „ერთად გავიმარჯვებთ“, „მოძრაობა მომავლისთვის (მომო)", Facebook-გვერდი, 22.05.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3e8PsbP, განახლებულია: 09.08.2020.

[27] „მოძრაობამ მამუკა ხაზარაძისა და მისი ოჯახის ფინანსური დახმარებით, 3000-ზე მეტ კონკრეტულ ოჯახს გაუწია დახმარება თბილისში, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში და ასევე ოკუპირებულ ტერიტორიებზე.“, Facebook-გვერდი, 23.05.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3gbfcWh, განახლებულია: 20.08.2020.

[28] მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონის 25^2 მუხლის 1-ლი პუნქტი.

[29] ამ შემთხვევაშიც დოკუმენტი საანგარიშო პერიოდში მომხდარ ფაქტს განიხილავს. თუმცა ამას გარდა „მოძრაობა მომავლისთვის - მომომ“ გალის რაიონის სოფელ საბერიოს საავადმყოფოს სამედიცინო ინვენტარი გადასცა. „ფონდმა „მოძრაობა მომავლისთვის” გალის რაიონის სოფელ საბერიოს საავადმყოფოს სამედიცინო ინვენტარი გადასცა“, საინფორმაციო პორტალი ინტერპრესნიუსი“, 26.03.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/31G6hrH, განახლებულია: 18.08.2020.

[30] „ორგანიზაციამ „მოძრაობა მომავლისთვის“ 12 გალელ სტუდენტს სტიპენდია დაუნიშნა“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 03.07.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/31KE7fn , განახლებულია: 18.08.2020.

[31] იქვე.

[32] მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონის 25^2 მუხლის 1-ლი პუნქტი.

[33] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 184-ე მუხლის მუხლის მე-2 ნაწილი.

თველოს ყველა მოქალაქე პოტენციური ამომრჩეველია. ამას ადასტურებს წარსულში არსებული მსგავსი ფაქტების შესახებ ინფორმაცია. მაგალითისთვის, 2014 წლის თვით-მმართველობის არჩევნებისას ასობით გალელმა ვერ მოახერხა არჩევნებში მონაწილეობა.[34] ამავე წელს პოსტზე მყოფი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის მინისტრის, პაატა ზაქარეიშვილის განცხადებით, მოვლენების მსგავსი განვითარება უჩვეულო არ იყო და დაბრკოლებებს აწყდებოდა როგორც გალის, ასევე ახალგორის მოსახლეობა.[35] საოკუპაციო ძალების მიერ შექმნილი ბარიერების მიუხედავად, გალელები არჩევნებში მონაწილეობას მაინც ახერხებენ. ადგილობრივი მედიის ცნობით, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად გალელმა ამომრჩევლებმა ენგურის ხიდის შეუფერხებლად გადმოკვეთა შეძლეს.[36] საიას სადამკვირვებლო მისიასთან ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მირანდა მესხი ადასტურებს გალელების არჩევნებში მონაწილეობის ფაქტს. თავად „ლელოშივე" აცხადებენ, რომ გალში ცხოვრობს 40 000-დან 55 000-მდე საქართველოს მოქალაქე.[37] შესაბამისად, პარტიის მიერ გალში მცხოვრებ ამომრჩევლებზე გაცემული ჰუმანიტარული დახმარება თუ ნებისმიერი, თუნდაც სასწავლო მიზნით (საკითხი, ამ კონკრეტულ შემთხვევაში არიან თუ არა სტუდენტები საქართველოს მოქალაქეები, შესაბამისი ორგანოების მხრიდან დამატებით შესწავლას მოითხოვს), მატერიალური მხარდაჭერა ამომრჩეველთა მოსყიდვის შემადგენლობას ქმნის.

ევროპის საბჭოს რეკომენდაციები პირდაპირ მიუთითებს, რომ იძულებით გადაადგილებულები საარჩევნო პროცესის განმავლობაში დაცულნი უნდა იყვნენ მანიპულაციისგან.[38] მანიპულაციის საფრთხე არსებობს არა მხოლოდ ამომრჩევლის დაშინების, არამედ პირიქით, სოციალური სარგებლის გადაცემით თუ დაპირებით, რადგან დიდია ალბათობა, რომ საარჩევნო სუბიექტისადმი მადლიერება პირმა საარჩევნო ყუთთან გამოხატოს. განსაკუთრებით მწვავედ ეს საკითხი დევნილების კონტექსტშია, ვინაიდან ისინი ჰუმანიტარულ დახმარებას თავიანთი სტატუსიდან გამომდინარე საჭიროებენ. ფაქტი, რომ იძულებით გადაადგილებული პირები ამ ტიპის დახმარების მომლოდინენი არიან პოლიტიკური პარტიებიდან თუ სხვა აქტორებიდან, მათ მოწყვლადობას ზრდის და პარტიებისთვის პოლიტიკური ექსპლუატაციის სამიზნედ აქცევს.[39] ამიტომ წინასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო სუბიექტების მხრიდან განსაკუთრებით ფრთხილი მიდგომაა საჭირო. **დევნილები, თავიანთი სტატუსის თანმხლები უამრავი სირთულიდან გამომდინარე, მარტივად შეიძლება დაექვემდებარონ უკანონო პოლიტიკურ მანიპულაციას.** ოკუპირებული გალი ადმინისტრაციულ საზღვარს ემიჯნება და იქ მცხოვრები მოქალაქეები საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიასთან ყველაზე ინტენსიურ კავშირს ახერხებენ. ეს დევნილის სტატუსით ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობასაც მოიცავს, რაც ხმის მიცემის შესაძლებლობასაც გულისხმობს.

საია სახელმწიფოს მოუწოდებს, საარჩევნო მანიპულაციისგან დაიცვას იძულებით გადაადგილებული პირები, მათი სტატუსიდან გამომდინარე.

---

[34] „Georgian's Living in Breakaway Regions forbidden to Vote", საინფორმაციო პორტალი ,,Agenda.ge", 15.06.2014, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2YdnlDc, განახლებულია: 18.08.2020.

[35] იქვე.

[36] „გალში მცხოვრებლები არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად აქტიურად გადმოდიან", საინფორმაციო პორტალი ,,Radio Atinati", 28.10.2018, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2E23hNo , განახლებულია: 18.08.2020.

[37] იქვე.

[38] „Voting Rights at Local Level as an Element of Successful Long-term Integration of Migrants and IDPs in Europe's Municipalities and Regions", Congress of Local and Regional Authorities, Council of Europe, Recommendation N419, 2018, Available at: https://bit.ly/2F87klf, განახლებულია: 07.08.2020.

[39] Drnovsky A., „Electoral Participation of Internally Displaced Persons (IDPs) A Case Study of Ukraine", University of Vienna, p. 28, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3a3AdAu, განახლებულია: 07.08.2020.

უფასო სამედიცინო აქცია სენაკში („ქართული ოცნება“)

2020 წლის 2 ივლისს სენაკის მუნიციპალიტეტში, საოჯახო მედიცინის ცენტრ ,,მკურნალში“, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურისა და ა(ა)იპ „ქართული ოცნება ჯანმრთელი მომავლის“ ორგანიზებით, გიორგი ვოლსკისა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, უფასო სამედიცინო აქცია გაიმართა.[40] მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სოციალურად შეჭირვებულ ოჯახებს, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილ მოქალაქეებს, ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანებსა და მათი ოჯახის წევრებს უფასო სამედიცინო პროფილაქტიკური გამოკვლევები ჩაუტარდათ.[41]

2020 წელს სენაკში ჩატარებულ უფასო სამედიცინო აქციაში რამდენიმე პრობლემური გარემოება იკვეთება:

(1) ა(ა)იპ „ქართული ოცნება - ჯანმრთელი მომავლისთვის“ ორგანიზაციის პრეზიდენტის - ქეთევან ბარათელისა და პარტნიორების - თამარ ბარათელისა და მედეა აზარაშვილის მიერ დაფუძნდა 2013 წელს.[42] ოფიციალური მონაცემებით, ორგანიზაცია არის აპოლიტიკური და მას შეხება არ აქვს მმართველ პარტიასთან, თუმცა მისი ლოგო „ქართული ოცნების“ ლოგოს მსგავსია[43] და სახელიც აძლიერებს აფილაციის განცდას. ამდენად, ორგანიზაციის საქმიანობა მმართველი პარტიის სასარგებლოდ აღიქმება.

„ქართული ოცნების“ დეპუტატის გიორგი ვოლსკის ქმედება ემსახურებოდა საქართველოს მოქალაქეების დაინტერესებას უფასო მომსახურების გაწევით, მმართველი პარტიის სასარგებლოდ. მიუხედავად იმისა, რომ დახმარება გაიცა ა(ა)იპ-ის მიერ, არსებული კონტექსტი (ორგანიზაციის სულ ცოტა ასოციაციური კავშირი მმართველ პარტიასთან და ამ პოლიტიკური ორგანიზაციის წარმომადგენლის ღონისძიებაში ჩართულობა) ადრესატებს ბუნებრივად უჩენს განცდას, რომ დახმარებას იღებენ კონკრეტული პარტიისგან. პოლიტიკურ გაერთიანებას კი კანონმდებლობით ეკრძალება კანდიდატის ან სხვა პირის მეშვეობით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, უსასყიდლოდ მომსახურების მიწოდება.[44] **საიას შეფასებით, ეს შემთხვევა ამომრჩევლის მოსყიდვის მაგალითია.**

(2) კიდევ ერთი პრობლემა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მხრიდან ისეთი აქტივობის მხარდაჭერაა, რომელიც ქველმოქმედების სახელით პარტიულ მიზნებს ემსახურება. **ეს ეწინააღმდეგება პარტიისა და სახელმწიფოს გამიჯვნის მოთხოვნას.[45]**

ქობულეთში ბოსტნეულის უფასოდ დარიგება („ქართული ოცნება“)

2020 წლის 5 აგვისტოს „ტვ პირველმა” გაავრცელა სიუჟეტი, რომელიც ქობულეთის ერთ-ერთ მარკეტშია გადაღებული.[46] ჩანაწერში ჩანს, რომ დახმარებას პირადი მონაცემების

---

[40] „უფასო სამედიცინო აქცია“, სენაკის მუნიციპალიტეტის Facebook-გვერდი, 02.07.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3a5AanL, განახლებულია: 07.08.2020.

[41] იქვე.

[42] ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, „ქართული ოცნება-ჯანმრთელი მომავალი“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Ydkbzz, განახლებულია: 17.08.2020.

[43] „ქართული ოცნება - ჯანმრთელი მომავალი“, Facebook-გვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3igyOth, განახლებულია: 07.08.2020.

[44] მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონის 25^2 მუხლის 1-ლი პუნქტი.

[45] DOCUMENT OF THE COPENHAGEN MEETING OF THE CONFERENCE ON THE HUMAN DIMENSION OF THE CSCE, 1990, (5.4).

სანაცვლოდ გასცემდნენ. მოქალაქეები ამბობენ, რომ ბოსტნეულს მმართველი პარტია, კერძოდ, „ქართული ოცნების“ კოორდინატორები არიგებენ.[47] საიას წარმომადგენელი მარკეტის მეპატრონეს გაესაუბრა. მეპატრონის თქმით, მას დაუკავშირდა ქობულეთის აგროსერვის ცენტრის ხელმძღვანელი და სასათბურე მეურნეობის პროდუქტების უფასოდ დარიგებაში დახმარება სთხოვა. როგორც ირკვევა, ეს მაღაზია ბოლო წლების განმავ-ლობაში არ ფუნქციონირებს და კონკრეტულად ამ ღონისძიებისთვის ამუშავდა. პარტიას ეკრძალება სხვა პირის მეშვეობით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, მოქალაქისათვის უსას-ყიდლოდ საქონლის მიწოდება.[48] **საიას მიაჩნია, რომ ეს ქმედება შეიცავს ამომრჩევლის მოსყიდვის ნიშნებს,** დასადგენია, რამ გამოიწვია მოქალაქეების მიერ აღქმა, რომ პროდუქტებს მმართველი პარტია არიგებდა.

ბათუმის თეატრის თანამშრომლებისთვის სურსათის დარიგება („პატრიოტთა ალიანსი“)

მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, 2020 წლის 6 აგვისტოს, ბათუმის დრამატული და თოჯინების თეატრების მსახიობებს, ასევე ამ სფეროში დასაქმებულ ადამიანებს, ჯამში 77 ადამიანს, „კარფურისა“ და ირმა ინაშვილის სახელით სასურსათო კალათები დაურიგეს.[49] თეატრის დირექტორი, დავით ოქტიაშვილი ადასტურებს, რომ ფინანსური დახმარება „კარფურმა“ და ირმა ინაშვილმა გაიღო.[50]

კანონმდებლობის მიხედვით, პარტიას ეკრძალება წარმომადგენლის მეშვეობით საქარ-თველოს მოქალაქეებისთვის მატერიალური ფასეულობების არაპირდაპირ გადაცემა.[51] მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს პარლამენტის წევრმა და „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერმა ეს წესი დაარღვია და ამომრჩეველი მოისყიდა.

---

[46] „ქართული ოცნება", კიტრი და პომიდორი“, საინფორმაციო პორტალი ტელეკომპანია „ტვ პირველი“, 05.08.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3bGtv4f , განახლებულია: 20.08.2020

[47] იქვე.

[48] მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონის 25^2 მუხლის 1-ლი პუნქტი.

[49] „კარფურმა“ და ირმა ინაშვილმა თეატრის თანამშრომლებს წინასაარჩევნოდ სურსათი დაურიგეს“, საინფორმაციო პორტალი ,,ნეტგაზეთი“, 06.08.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3bEYRbA, განახლებულია: 20.08.2020

[50] იქვე.

[51] მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონის 25^2 მუხლის 1-ლი პუნქტი.

3 ძალადობრივი ქმედებები, დაძაბული არჩევნებისწინა გარემოს შექმნა და წინასაარჩევნო აგიტაციაში ხელშეშლა

მოჭიდავეების მობილიზება აჭარაში[52]

2020 წლის 7 მაისს მოჭიდავეები – რევაზ წულუკიძე და ელდარ ანთაძე აპრილში მომხდარ ჩხუბზე ხულიგნობის ბრალდებით დააკავეს.[53] ოჯახები და ახლობლები მათ დაკავებას პოლიტიკურ პროცესებს უკავშირებდნენ და ამბობდნენ, რომ ხელისუფლებამ ისინი წინასაარჩევნოდ დახმარებაზე უარის გამო დასაჯა.[54] ერთ-ერთი დაკავებულის ძმამ, ფირუზ წულუკიძემ[55] საიას მონიტორთან საუბრისას განაცხადა, რომ მას არსებული ხელისუფლების პირობებში ამ საქმეზე გამამართლებელი განაჩენის დადგომის იმედი არ აქვს. ის და მისი ძმა „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერები არიან და მაღალმთიან აჭარაში „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატის გამარჯვების იმედი აქვთ. მისი თქმით, პოლიცია და კრიმინალები ქალაქში ერთად მოქმედებენ, მის ახლობლებზე მიდის ზეწოლა და როცა დახმარებას პოლიციას სთხოვენ, ხშირად აქვთ უსიამოვნება და რამდენჯერმე უცემიათ კიდეც. იგი ასევე ამტკიცებს, რომ თორნიკე რიჟვაძის მამას ჰყავს თავის ზონდერ ბრიგადა მოჭიდავეების სახით.

2020 წლის 21 ივნისს ტელეკომპანია „ფორმულამ“ გაავრცელა ინფორმაცია, სადაც საუბარი იყო ხელისუფლების მხრიდან ყოფილი სპორტსმენების არაფორმალურ ორგანიზებულ ჯგუფებად მობილიზების შესახებ.[56] მედიასაშუალების ცნობით, 2020 წლის მარტში გაიმართა აჭარის მაღალჩინოსნების მიერ ორგანიზებული შეხვედრები პოლიციის მთავარ სამმართველოში, სადაც აჭარის მთავრობის ხელმძღვანელის, თორნიკე რიჟვაძის მამამ და პოლიციის უფროსმა კონსტანტინე ანანიაშვილმა მოჭიდავეებს, არჩევნებზე დახმარების სანაცვლოდ, ფული და სხვადასხვა ტიპის სარგებელი (მიწების სიმბოლურ ფასად გადაცემა, მშენებლობის ნებართვები) შესთავაზეს.[57] ფირუზ წულუკიძის თქმით, მოჭიდავეების მხრიდან საიდუმლო შეხვედრას მასთან ერთად ესწრებოდნენ მისი ძმა რევაზ წულუკიძე, ელდარ ანთაძე და კიდევ ერთი პირი.[58] ფირუზ წულუკიძემ საიას გრძელვადიან სადამკვირვებლო მისიასთან საუბრისას ეს ინფორმაცია დაადასტურა. მისი თქმით, მაღალჩინოსნებისგან მიიღეს გარიგების შეთავაზება არჩევნებზე დახმარების სანაცვლოდ

[52] მართალია, ეს ინციდენტი საანგარიშო პერიოდში არ მომხდარა, მაგრამ მოვლენები, რომელიც მას მოჰყვა, ამ დრომდე გრძელდება. ამის გამო საიამ გადაწყვიტა შემთხვევა ანგარიშში შეეტანა.

[53] „ემოციებს დაგანახებთ აწი“ – წულუკიძე და ანთაძე პატიმრობაში დატოვეს“, საინფორმაციო პორტალი ,,ნეტგაზეთი“, 23.06.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3gkdL8d, განახლებულია: 13.07.2020.

[54] იქვე.

[55] „საია და EMC წულუკიძისა და ბახუნტარიძის საქმესთან დაკავშირებით ერთობლივ განცხადებას აკეთებენ“, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის ოფიციალური ვებგვერდი, 23.01.2013, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/31Ib3VL, განახლებულია: 13.07.2020.

[56] „მამა-შვილის ზონდერები“, საინფორმაციო პორტალი ტელეკომპანია „ფორმულა“, 21.06.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2YUkWhs, განახლებულია: 13.07.2020.

[57] იქვე.

[58] იქვე.

მატერიალური დახმარების გაწევის თაობაზე, რაზეც ისინი დათანხმდნენ. როგორც ირკვევა, ამავე შეხვედრაზე შეთანხმდნენ, რომ წინასწარი დახმარების სახით მოჭიდავეებს 2000-2000 ლარი ჩაერიცხებოდათ, რისთვისაც მათ მეუღლეებს უნდა შეეტანათ განცხადებები შესაბამის უწყებაში.

საიას მონიტორინგის მისიამ მოიპოვა ქვითრები, რომლის მიხედვითაც 2020 წლის 19 და 24 მარტს ბრალდებულების - რეზო წულუკიძისა და ელდარ ანთაძის მეუღლეებს ერთჯერადი სოციალური დახმარება, თითოეულს 2 ათასი ლარი ჩაერიცხა.[59] რევაზ წულუკიძის თქმით, ეს იყო წინასწარი დახმარება მათ დასაინტერესებლად, ხოლო კვალის ასარევად, თანხები მათი ცოლების ანგარიშებზე ჩაირიცხა.[60] აჭარის მთავრობამ გაავრცელა განცხადება, სადაც წერია, რომ ერთჯერადი სოციალური დახმარება ამავე ოჯახების განცხადების საფუძველზე გაიცა.[61]

სასამართლო პროცესის დაწყებამდე ბრალდებულის ძმამ, ფირუზ წულუკიძემ „ნეტგაზეთს“ უთხრა, რომ მათ იუსტიციის მინისტრმა არაპირდაპირ შესთავაზა ის, რასაც აქამდე თორნიკე რიჟვაძის მამა სთავაზობდათ.[62] თეა წულუკიანის უწყების პრესცენტრიც ადასტურებს შეხვედრას ქუთაისში, თუმცა თეა წულუკიანი გამორიცხავს საუბარს წულუკიძე-ანთაძის საქმესთან დაკავშირებით.[63]

საია მოუწოდებს ხელისუფლებას შეისწავლოს აქ მოყვანილი ფაქტები, მათი დადასტურების შემთხვევაში გაატაროს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები, ხოლო წულუკიძე-ანთაძის საქმე უნდა გადაწყდეს მიუკერძოებლად. მაღალი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, საზოგადოებას უნდა მიეწოდოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისის დარბევა გორში

2020 წლის 26 ივნისს გავრცელდა ინფორმაცია, რომ გორში პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ცენტრალური ოფისი დაარბიეს.[64] შინაგან საქმეთა სამინისტრომ სხვისი ნივთის დაზიანების ფაქტზე[65] 1969 წელს დაბადებული მამაკაცი დ.შ. დააკავა.[66] გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ქვები ესროლა ენმ-ის გორის ოფისის შენობის შუშებს და დააზიანა, ასევე ოფისიდან გამოიტანა ტელევიზორი, კომპიუტერის მონიტორი და დააზიანა.[67] ენმ-ში ამბობენ, რომ ბოლო წლების განმავლობაში ეს დარბევის უკვე მეოთხე შემთხვევაა, თუმცა არავის პასუხისმგებლობა არ დამდგარა.[68]

---

[59] კრედო ბანკის ამონაწერი ანგარიშიდან: ანგარიშის მფლობელი: ნარი ფუტკარაძე, საიდენტიფიკაციო ნომერი: 61001074207, ამონაწერის პერიოდი: 2020-03-20 - 2020-04-20, სოციალური დახმარება: 2000 ლარი; ამონაწერი ანგარიშიდან: მიმღები: მირანდა ქათამაძე, გამომგზავნი: სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, თანხა: 2000 ლარი.

[60] „მამა-შვილის ზონდერები“, საინფორმაციო პორტალი ტელეკომპანია ,,ფორმულა“.

[61] იქვე.

[62] იქვე.

[63] იქვე.

[64] „გორში ენმ-ის ოფისი დაარბიეს“, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 26.06.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/34Z4pN1, განახლებულია: 02.07.2020.

[65] სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

[66] „ნაციონალური მოძრაობის“ გორის ოფისი დაარბიეს, დამტვრეულია ტექნიკა და ინვენტარი - ენმ“, საინფორმაციო პორტალი ,,პუბლიკა“, 26.06.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2QBNWWz, განახლებულია: 02.07.2020.

[67] იქვე.

[68] იქვე.

მომხდართან დაკავშირებით, საიას მონიტორინგის ჯგუფი თვითმხილველებს გაესაუბრა. პირები, რომლებმაც თავდამსხმელის ჩაცმულობის დანახვა შეძლეს, ამბობდნენ, რომ მას „ქართული ოცნების" სიმბოლიკიანი მაისური ეცვა.

საია მიიჩნევს, რომ პროკურატურამ უნდა უზრუნველყოს ამ შემთხვევის ყოველმხრივი და ობიექტური გამოძიება.

„ლელო“ სოფელ დიცში არ შეუშვეს

2020 წლის 9 ივლისს პარტია ,,ლელო საქართველოსთვის“ გორის ოფისის წევრები, საარჩევნო კამპანიის ფარგლებში, საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელ დიცში მოსახლეობას უნდა შეხვედროდნენ.[69] ისინი სოფლის შესასვლელთან, საქართველოს შსს-ს საპოლიციო საგუშაგოზე შეაჩერეს და სოფელში აღარ შეუშვეს.[70] სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის პრესსამსახურის ოფიციალური პოზიციით, გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებში გადაადგილება საფრთხის შემცველია.[71] მიუხედავად ამისა, „რადიო თავისუფლების“ ცნობით, მმართველი პარტია „ქართული ოცნება" და მისი აქტივისტები ოკუპაციის ხაზის მიმდებარე სოფლებში შეუფერხებლად გადაადგილდებიან.[72] **პოლიტიკური პარტიების უთანასწორო პირობებში ჩაყენება კი საფრთხეს უქმნის თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებას.** მას შემდეგ, რაც ,,ლელოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა კახა კოჟორიძემ განაცხადა, რომ აპირებს, ამ ფაქტთან დაკავშირებით მიმართოს პროკურატურას, პარტიის წარმომადგენლებს დაბრკოლებები მოეხსნათ.[73] ისინი მოსახლეობას 2020 წლის 30 ივლისს შეხვდნენ.[74]

პარტიის წევრები უფლებამოსილნი იყვნენ, შეუფერხებლად შეხვედროდნენ საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ ამომრჩევლებს. ამდენად, ეს ფაქტი პოლიტიკური პარტიის საქმიანობაში უკანონო ხელის შეშლაა, რაც დანაშაულია.[75]

ენზელ მკოიანის საქმე

2020 წლის 20 ივლისს, სოციალურ მედიაში გავრცელდა ვიდეო, სადაც ჩანს როგორ მისდევს „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატი ენზელ მკოიანი იარაღით ხელში პირს, სავარაუდოდ, „პარტრიოტთა ალიანსის“ წევრ სამველ პეტროსიანს.[76] ვიდეო ასახავს 2020 წლის 26 მარტს მომხდარ ინციდენტს, სადაც ენძელ მკოიანს, სამველ პეტროსიანსა და მათ ნათესავებს[77] შორის დაპირისპირება მოხდა.[78] გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის

---

[69] „სოფელ დიცში მოსახლეობას პარტიებთან შეხვედრის უფლებას არ აძლევენ - ლელო საქართველოსთვის“, საინფორმაციო პორტალი „on.ge”, 09.07.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/31lAkn2, განახლებულია: 07.08.2020.

[70] „წინასაარჩევნო პოლიტიკური დევნა. საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში მოსახლეობას პოლიტიკურ პარტიებთან შეხვედრის უფლებას არ აძლევენ“, პოლიტიკური პარტია „ლელო საქართველოსთვის“ ოფიციალური ვებგვერდი, 10.07.2020 ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3gD2yAa, განახლებულია: 07.08.2020.

[71] „ლელოს" წარმომადგენლებმა სოფელ დიცში შეხვედრა გამართეს“, საინფორმაციო პორტალი ,,შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრი“, 30.07.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2XC2YQ6, განახლებულია: 07.08.2020.

[72] „ლელოს“ პარტიული აქტივი არ შეუშვეს საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფელ დიცში“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 09.07.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3kujBH1, განახლებულია: 07.08.2020.

[73] „ლელოს" წარმომადგენლებმა სოფელ დიცში შეხვედრა გამართეს“, საინფორმაციო პორტალი ,,შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრი“.

[74] იქვე.

[75] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 166-ე მუხლი.

[76] „დეპუტატმა ენზელ მკოიანმა ადამიანს დამიზნებით ესროლა“, საინფორმაციო პორტალი ,,Akhalkalaki news”, Facebook გვერდი, 18.07.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3a7rYUm, განახლებულია: 07.08.2020.

[77] ინციდენტში ასევე მონაწილეობდნენ სამველ პეტროსიანის შვილი - გეორგი პეტროსიანი, ენზელ მკოიანის არასრულწლოვანი ძმისშვილი ა.მ., ა.მ-ს ბიძაშვილი კარაპერტ მკოიანი და მისი ნათესავები.

გამოყენებით ჩადენილი ხულიგნობის ბრალდებით დაიწყო.[79] 29 მარტს, სამართალ-დამცავებმა სამველ პეტროსიანი და მკოიანის ძმისშვილი დააკავეს.[80] გამოძიებით დადგინდა, რომ 2020 წლის 26 მარტს მომხდარი სიტყვიერი დაპირისპირების დროს ბრალდებულებმა ცეცხლსასროლი იარაღიდან გაისროლეს.[81] მათ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ.[82]

მედიაში გავრცელებული ვიდეომასალებიდან ჩანს, რომ ამ დაპირისპირების დროს ენზელ მკოიანი იყენებდა იარაღს, თუმცა ამ ფაქტზე გამოძიება არ დაწყებულა. გარდა ამისა, როგორც ვიდეომასალაშია აღბეჭდილი, ადგილზე იმყოფებოდა პოლიციის თანამშრომელი, მაგრამ ის ქმედით ზომებს არ იღებდა დეპუტატის უკანონო და ძალადობრივი ქცევის აღსაკვეთად. შემთხვევას გამოეხმაურა ,,კოალიცია თანასწორობისთვის" და საქართველოს გენერალურ პროკურატურას მოუწოდა, უზრუნველყოს მომხდარზე დამოუკიდებელი და ეფექტიანი გამოძიება.[83] განცხადებაში ასევე საუბარია მკოიანის წარსულ ძალადობრივ ქმედებებზე, რომელსაც სამართალდამცავი უწყებების სათანადო რეაგირება არ მოჰ-ყოლია.[84]

სამართალდამცავი უწყებების არასათანადო რეაგირება აჩვენებს ენზელ მკოიანის მიმართ პოლიტიკური ლოიალობისა და მისი სამართლებრივი პრივილეგირების ნიშნებს, რამაც, შესაძლოა, წაახალისოს მმართველი პარტიის წარმომადგენელი მომავალში, ხოლო ოპოზიცია პირიქით - დათრგუნოს, რაც, მთლიანობაში, დაამა-ხინჯებს საარჩევნო გარემოს.

ხელვაჩაურის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა

2020 წლის 30 ივლისს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სხდომაზე, საკრებულოს განკარ-გულებით, პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრს ვაჟა თავდგირიძეს საკრებუ-ლოს მუშაობაში არმონაწილეობის გამო უფლებამოსილება შეუწყდა.[85]

2020 წლის 27 ივლისს დეპუტატის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი განიხილა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიამ,[86] რომელმაც წარდგენილი ჯანმრთელობის ცნობის მიუხედავად, ვაჟა თავდგირიძის ქმედება არასაპატიოდ მიიჩნია.[87]

კანონმდებლობის მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს ვადამდე შეუწყდება უფლებამოსილება, თუ არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 6 თვის განმავლობაში არ

---

[78] „ახალქალაქში მომხდარი ხულიგნობისა და სროლის ფაქტზე დაკავებულებს აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა შეეფარდათ", საინფორმაციო პორტალი „სამოთხის კარიბჭე", 31.03.2020, https://bit.ly/3a26KXT, განახლებულია: 07.08.2020

[79] იქვე.

[80] იქვე.

[81] იქვე.

[82] იქვე.

[83] „კოალიცია თანასწორობისთვის დეპუტატი ენზელ მკოიანის მიმართ გამოძიების დაწყებას ითხოვს", საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, 21.07.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/30CKXmB, განახლებულია: 07.08.2020.

[84] იქვე.

[85] ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ივლისის №20 განკარგულება. „ენმ-ს წევრი, რომელსაც მძიმე დიაგნოზი აქვს, უმრავლესობამ ხელვაჩაურის საკრებულოდან გარიცხა", საინფორმაციო პორტალი ,,ნეტგაზეთი", 30.07.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2XAnFeV, განახლებულია: 09.08.2020.

[86] ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის 2020 წლის 27 ივლისის დასკვნა.

[87] იქვე.

მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობაში.[88] ასეთ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისია მუნიციპალიტეტის რეგლამენტით გათვალისწინებული წესით არკვევს გაცდენის მიზეზს.[89] ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით, განსაზღვრულია საკრებულოს წევრის ვადამდე უფლება-მოსილების შეწყვეტის კანონის იდენტური საფუძველი და პროცედურა, რომლის მიხედვითაც საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიამ უნდა შეისწავლოს საქმე და მოამზადოს დასკვნა, სადაც შეაფასებს, გაცდენა რამდენად იყო გამოწვეული საპატიო მიზეზით.[90]

დეპუტატის მიერ წარდგენილ ცნობაში მითითებულია დაავადების დიაგნოზი, ჩატარებული მკურნალობის პროცედურები და პაციენტის მდგომარეობა,[91] რაც, საიას შეფასებით, საკრებულოს მუშაობაში ჩაურთველობის საპატიო მიზეზს წარმოადგენს.[92] ცნობაში არის უმნიშვნელო ხარვეზი თარიღში (2020-ის ნაცვლად, წერია 2030 წელი). სხვა მხრივ, ამ დოკუმენტის ავთენტურობა ეჭვებს არ იწვევს. დეპუტატის მძიმე დიაგნოზის ფონზე, გაუგებარია, რატომ მიიჩნია საკრებულომ ეს მდგომარეობა „არასაპატიოდ“.

საიას მოსაზრებით, საკრებულოს ამგვარი გადაწყვეტილება სამართლიანი პოლიტი-კური კონკურენციის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯია, რაც ძაბავს წინასაარჩევნო გარემოს და ზრდის პოლარიზაციას.

პარტიის „მოძრაობა ხალხისთვის“ ლიდერსა და სხვა წარმომადგენლებზე თავდასხმა

2020 წლის 13 აგვისტოს ანა დოლიძესა და მის მხარდამჭერებს, საარჩევნო კამპანიის დროს, წერეთლის N105-ში უცნობი პირები თავს დაესხნენ და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს.[93] როგორც კანდიდატის წერილობით მომართვაშია განმარტებული, უცნობი პირები პარტიის წარმომადგენლებს ამომრჩევლებთან შეხვედრის საშუალებას არ აძლევდნენ და, ამასთან, მათ მიერ ტერიტორიის დატოვებასაც მოითხოვდნენ.[94] პარტიამ საიას გრძელვადიან სადამკვირვებლო მისიას დამატებითი ინფორმაცია მოაწოდა. მათ მიერ გამოგზავნილ ვიდეოში ისმის აგრესიული გამოძახილები და გინება. გამოძიება მუქარის ბრალდებით დაიწყო.[95]

მნიშვნელოვანია, საგამოძიებო უწყებამ პროცესი ობიექტურად და გამჭვირვალედ წარმართოს, ხოლო სახელმწიფომ კანდიდატების კამპანიის წარმოებისთვის თავი-სუფალი გარემო უზრუნველყოს.

---

[88] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 43-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი.

[89] იქვე, 43-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

[90] ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 თებერვლის №07 დადგენილებით დამტკიცებული ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი.

[91] იქვე.

[92] იქვე.

[93] „ანა დოლიძის საარჩევნო კამპანიის დროს მომხდარ ინციდენტზე გამოძიება სავარაუდოდ მუქარის მუხლით დაიწყება“, 27.08.2020, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/32TEmUA, განახლებულია: 04.09.2020.

[94] იქვე.

[95] იქვე.

4 სხვა ფაქტები

ბათუმის მერის გადადგომა

2020 წლის 16 ივლისს ბათუმის მერი ლაშა კომახიძე გადადგა.[96] ასევე გადადგა ვიცემერი ჯაბა ტუღუშიც.[97] ლაშა კომახიძე პირდაპირი წესით 2017 წელს აირჩიეს და ვადა 2021 წლის ოქტომბერში ეწურებოდა.[98] მნიშვნელოვანია უფლებამოსილებაზე უარის თქმის თარიღი. ლაშა კომახიძეს ეს გადაწყვეტილება 2020 წლის 15 ივლისამდე რომ მიეღო, მერის არჩევნები მიმდინარე წლის ოქტომბერში გაიმართებოდა,[99] ახლა კი ვადამ წელიწადნახევრით გადაიწია. კანონის მიხედვით, თუ მერის უფლებამოსილება 15 ივლისის შემდეგ შეწყდა, რიგგარეშე არჩევნები მომდევნო წლის მაისში გაიმართება,[100] მაგრამ თუ მომდევნო წელი ისედაც საარჩევნო წელია, როგორც 2021, მაშინ რიგგარეშე არჩევნები არ ტარდება.[101] ეს იმას ნიშნავს, რომ კენჭისყრა მომდევნო წლის ოქტომბერში ჩატარდება, ამ პერიოდში ქალაქის თავის მოვალეობას დანიშნული პირი შეასრულებს. ეს თანამდებობა არჩილ ჩიქოვანმა დაიკავა, რომელიც იქამდე აჭარის მთავრობის აპარატის უფროსი იყო.[102]

მერისა და მმართველი უმრავლესობის მხრიდან ვადებით მანიპულირება, საიას შეფასებით, ამომრჩევლის უპატივცემულობაა. ამ ნაბიჯით მათ ქალაქის მცხოვრებლებს წაართვეს შესაძლებლობა, თავად განესაზღვრათ საკუთარი ქალაქის თავის ვინაობა, გაეკეთებინათ პოლიტიკური არჩევანი.

„რესპუბლიკური პარტიის" რეგისტრაცია

2020 წლის 17 ივლისს, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, თამარ ჟვანიას განკარგულების ძალით, „საქართველოს რესპუბლიკური პარტია" 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიზნით საარჩევნო სუბიექტად ვერ დარეგისტრირდა.[103] განკარგულება რეგისტრაციაზე უარის თქმის მოტივად პარტიის მიერ განცხადების კანონით დადგენილი ვადის დარღვევით წარდგენას მიუთითებს.[104]

---

[96] ,,ბათუმის მერი ლაშა კომახიძე გადადგა", საინფორმაციო პორტალი ,,ნეტგაზეთი", 16.07.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2OvlFzZ, განახლებულია: 06.08.2020.

[97] იქვე.

[98] იქვე.

[99] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 169^2 მუხლის მე-2 ნაწილი.

[100] იქვე.

[101] იქვე.

[102] „ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანმა ჩაანაცვლა, რომლის მეჯვარეც თორნიკე რიჟვაძეა", საინფორმაციო პორტალი „REGinfo.ge", 16.07.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2ZxDzby, განახლებულია: 06.08.2020.

[103] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2020 წლის 17 ივლისის №29/2020 განკარგულება „საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებისათვის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „საქართველოს რესპუბლიკური პარტია" და მისი წარმომადგენლის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ", ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებგვერდი, 17.07.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/30ENbSb, განახლებულია: 09.08.2020.

[104] იქვე.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში რეგისტრაციის დროებითი წესის თანახმად, პარტიამ უფლებამოსილი პირის ხელმოწერით ცესკოს თავმჯდომარეს უნდა მიმართოს არჩევნების წლის პირველი იანვრიდან 15 ივლისამდე დროით ინტერვალში.[105] ვადის დარღვევით წარდგენილი განცხადება რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია.[106] ეს წესი იმ პარტიებს ეხება, რომლებსაც პარლამენტში წარმომადგენელი არ ჰყავთ.[107]

„საქართველოს რესპუბლიკური პარტიის“ წარმომადგენლების განმარტებით, მათ კანონმდებლობის მოთხოვნა არ დაურღვევიათ და განცხადება, საარჩევნო სუბიექტად რეგისტრაციის მოთხოვნით, დადგენილ ვადაში, 14 ივლისს ჩააბარეს ფოსტას.[108] განცხადება ცესკომ მომდევნო დღეს - 15 ივლისს მიიღო.[109] პარტიის წარმომადგენლებმა ცესკოს თავმჯდომარის განკარგულება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში გაასაჩივრეს.[110] სასამართლოს გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა და „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში დამოუკიდებელ სუბიექტად შეძლებს მონაწილეობას.[111]

საია მიესალმება სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და კანონის ამგვარ ინტერპრეტაციას.

„პატრიოტთა ალიანსის“ დაფინანსება

2020 წლის 25 აგვისტოს ყოფილი პოლიტპატიმრის, მიხაილ ხოდორკოვსკის დაარსებული საგამოძიებო ჟურნალისტური პლატფორმის, „დოსიეს“ მიერ გამოქვეყნდა დოკუმენტები, რითაც დგინდება პოლიტიკური პარტია „პატრიოტთა ალიანსის“ კავშირები რუსეთის ხელისუფლებასთან.[112] „დოსიეს“ თქმით, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის 4-თვიანი (ივლისი-ოქტომბერი) წინასაარჩევნო ბიუჯეტის გეგმა 25 მილიონი ლარის ოდენობის დაფინანსებით მიიღო რუსეთისგან.[113] ბიუჯეტი, სხვა მიზნებთან ერთად, ითვალისწინებს დაახლოებით ნახევარი მილიონი ლარის ღირებულების სხვადასხვა ნივთის - მაისურის, სუვენირის, დროშის და ა.შ. შესყიდვას.[114]

პარლამენტის წევრმა და ვაკის მაჟორიტარობის კანდიდატმა ელენე ხოშტარიამ „პატრიოტთა ალიანსის“ დაფინანსებასთან დაკავშირებით პროკურატურაში განაცხადა.[115] პროკურატურამ მიიჩნია, რომ გამოძიების დაწყების საფუძველი არ არსებობს და უწყებამ

[105] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 195-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

[106] იქვე, მე- 10 ნაწილი.

[107] იქვე.

[108] „ცესკომ რესპუბლიკელები არჩევნებში არ დაარეგისტრირა“, საინფორმაციო პორტალი ,,ნეტგაზეთი“, 19.07.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2XJwNhp, განახლებულია: 09.08.2020.

[109] იქვე.

[110] იქვე.

[111] „სასამართლომ დააკმაყოფილა რესპუბლიკელების სარჩელი „ცესკოს“ წინააღმდეგ - სამნიძე“, საინფორმაციო პორტალი ,,ნეტგაზეთი“, 20.07.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ac1wso, განახლებულია: 09.08.2020

[112] „როგორ კურირებენ „პატრიოტთა ალიანსს“ წინასაარჩევნოდ რუსეთიდან – „დოსიე“, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 25.08.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/33axORz , განახლებულია: 09.09.2020.

[113] იქვე.

[114] იქვე.

[115] „ელენე ხოშტარიამ „პატრიოტთა ალიანსის“ დაფინანსებასთან დაკავშირებით პროკურატურაში განცხადება შეიტანა“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 25.08.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/32by0kb, განახლებულია: 09.09.2020.

აუდიტის სამსახურს მიმართა.[116] სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა დაფინანსების კანონიერების ფაქტზე მოკვლევა დაიწყო.[117]

საარჩევნო კანონმდებლობის მიხედვით, პარტიას ეკრძალება სხვა ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირისგან შემოწირულების მიღება.[118] შემოწირულების მიღების, ასევე საწევრო შენატანის შესახებ ინფორმაცია პარტიამ 5 სამუშაო დღის ვადაში უნდა წარუდგინოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს.[119] თუ პარტიამ არ იცოდა სახსრების უკანონობის თაობაზე, თანხის დაბრუნების ვალდებულება აუდიტის სამსახურის მოთხოვნისთანავე წარმოიშობა.[120] „დოსიეს“ მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშებში ასახული დაფინანსება აუდიტის სამსახურის შემოწირულებების ბაზაში არ ფიქსირდება. დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, აუდიტის სამსახური მიმართავს პროკურატურას.[121]

საია იმედოვნებს, რომ აუდიტის სამსახური ყოველმხრივ გამოიკვლევს ამ ფაქტს, ხოლო შესწავლის პროცესში საზოგადოებას ამცნობს პროცესის მიმდინარეობის შესახებ.

„პარტიოტთა ალიანსის“ ბანერები და ვიდეორგოლები

„პატრიოტთა ალიანსმა“ აჭარაში საარჩევნო ბილბორდები გააკრა, სადაც საქართველოს რუკაზე, რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების მსგავსად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაც წითლად არის მონიშნული წარწერით - „დაიცავი აჭარა! დაიცავი შენი წილი საქართველო!“.[122] პარტიამ სოციალურ ქსელში ასევე განათავსა 9 ვიდეორგოლი, საიდანაც 6-ში „პატრიოტთა ალიანსის“ პარტიის ლიდერები - დავით თარხან-მოურავი და ირმა ინაშვილი, სხვა პირებთან ერთად, თურქეთის მხრიდან მოსალოდნელ საფრთხეებზე საუბრობენ.[123] მაგალითად, ვიდეოების ციკლში გაისმის შემდეგი ფრაზები: „დღეს თურქეთს მიტაცებული აქვს საქართველოს ტერიტორიების 33%“, „დღესაც თურქეთი ღიად აცხადებს პრეტენზიას ბათუმზეც, ოზურგეთზეც და ახალციხეზეც“, „დაიცავი შენი წილი საქარ-თველო“, „ნუ დავუთმობთ აჭარას თურქეთს“. კლიპებში მოყვანილია ისტორიული მაგალითებიც, მათ შორის, საუბარია თურქეთის ნეგატიურ გავლენებზე ბულგარეთში და

---

[116] „ელენე ხოშტარიას განცხადებით, „პატრიოტთა ალიანსის” დაფინანსების საკითხზე გამოძიების დაწყებაზე პროკურატურამ უარი თქვა და აუდიტის სამსახურს მიმართა“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 31.08.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/32by0kb, განახლებულია: 09.09.2020.

[117] „სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა „პატრიოტთა ალიანსის“ დაფინანსების კანონიერების ფაქტზე მოკვლევა დაიწყო“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 01.09.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/32by0kb, განახლებულია: 09.09.2020.

[118] მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონის 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტია „ა“.

[119] იქვე, 27^1-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

[120] იქვე.

[121] იქვე, 34^1-ე მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი.

[122] „პატრიოტთა ალიანსის“ საარჩევნო ბანერს აჭარაში მოქალაქეები სამარცხვინოს უწოდებენ“, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 29.08.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2ZolRqx , განახლებულია: 09.09.2020.

[123] (1) დაიცავი აჭარა! დაიცავი შენი წილი საქართველო! თურქული რუკები, მედიაკავშირი ობიექტივის facebook-გვერდი, 30.08.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3kowthh, განახლებულია: 11.09.2020; (2) დაიცავი აჭარა! დაიცავი შენი წილი საქართველო! ბულგარეთის მაგალითი, მედიაკავშირი ობიექტივის facebook-გვერდი, 30.08.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/33mS9Dp, განახლებულია: 11.09.2020; (3) დაიცავი აჭარა! დაიცავი შენი წილი საქართველო! გენოციდი, მედიაკავშირი ობიექტივის facebook-გვერდი, 30.08.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Fmp2be, განახლებულია: 11.09.2020; (4) დაიცავი აჭარა! დაიცავი შენი წილი საქართველო! ყარსის ხელშეკრულება, მედიაკავშირი ობიექტივის facebook-გვერდი, 30.08.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/32lTFX3, განახლებულია: 11.09.2020; (5) დაიცავი აჭარა! დაიცავი შენი წილი საქართველო! თურქების პრეტენზიები, მედიაკავშირი ობიექტივის facebook-გვერდი, 30.08.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3hnqSpl, განახლებულია: 11.09.2020; (6) დაიცავი აჭარა! დაიცავი შენი წილი საქართველო! ხარკი, მედიაკავშირი ობიექტივის facebook-გვერდი, 30.08.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/32nEcFQ, განახლებულია: 11.09.2020.

შედარებულია საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან: „ზუსტად იმავე სცენარით ვითარდება პროცესები აჭარაში“.

ამ ფაქტს კრიტიკა და ნეგატიური გამოხმაურება მოჰყვა, რადგან ის საზოგადოების ნაწილმა ეროვნული შუღლისა და მტრობისკენ, რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირებისკენ მოწოდებად აღიქვა. მასზე რეაგირებისთვის სამი საშუალება არსებობს: ადმინისტრაციული ჯარიმა; სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და პარტიის არაკონსტიტუციურად ცნობა. ეს ტექსტი აფასებს, რამდენად წარმოადგენს „პატრიოტთა ალიანსის“ ქმედება რომელიმე ტიპის კანონდარღვევას.

გამოხატვის თავისუფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციით.[124] საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ ამ უფლების „...დაცვის სფერო მოიცავს არა მხოლოდ იმ „ინფორმაციას“ ან „იდეებს“, რომელთაც იზიარებს საზოგადოება [...], არამედ ასევე ისეთს, რომელიც შეურაცხყოფს, შოკის მომგვრელია და აწუხებს სახელმწიფოს ან საზოგადოების ნებისმიერ ჯგუფს.“[125] „კონსტიტუციით დაცულია [...] აზრი, მათ შორის ისეთიც, რომელსაც საზოგადოების ნაწილი შეიძლება [...] არაადეკვატურად აღიქვამდეს.“[126] იმავდროულად, უზენაესი კანონი სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და სხვათა უფლებების დასაცავად ამ უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას უშვებს,[127] დაუშვებლად მიიჩნევს ისეთი პარტიის საქმიანობას, რომელიც აღვივებს ეთნიკურ შუღლს.[128] საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, ამის მიზეზი ისაა, რომ „კონსტიტუცია თავად გამორიცხავს პოლიტიკური პროცესებიდან და მმართველობის სისტემიდან გარკვეულ ძალადობრივ სუბიექტებს,“[129] რადგან „ყურადღების მიღმა ვერ დარჩება ის გარემოება, რომ დემოკრატიული პროცესების ბოროტად გამოყენებით, შესაძლებელია თავად დემოკრატიულ მმართველობასა და ფუნდამენტურ კონსტიტუციურ პრინციპებს შეექმნას საფრთხე.“[130] „გამოხატვის თავისუფლების ზღვარი გაივლის იქ, სადაც გამოხატვა კონსტიტუციით დაცულ სიკეთეს, კონსტიტუციით გაცხადებულ პრინციპებსა და ღირებულებებს შეუქმნის საფრთხეს.“[131] ამდენად, ერთი მხრივ, არსებობს უფლება, რომელიც კონკრეტული სუბიექტების წინააღმდეგ მიმართულ გამოხატვასაც იცავს, ხოლო მეორე მხრივ - სახელმწიფოს ინტერესი, არ დაუშვას ამ უფლებით იმგვარი სარგებლობა, რომელიც დემოკრატიას შეუქმნის საფრთხეს. ეს დილემა ნორმატიული აქტებისა და სასამართლოების გადაწყვეტილებების სისტემური განხილვით შეიძლება გადაწყდეს.[132]

---

[124] საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი.

[125] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის N1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-7.

[126] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-106.

[127] საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტი.

[128] იქვე, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

[129] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის N3/3/600 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-37.

[130] იქვე.

[131] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II-90.

[132] იქვე, II-95.

საარჩევნო კოდექსით დადგენილია, რომ პოლიტიკური პარტიის საარჩევნო პროგრამა არ უნდა შეიცავდეს „[...] ეროვნული შუღლისა და მტრობისკენ [...] მოწოდებას“[133] და ითვალისწინებს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ პასუხისმგებლობას.[134]

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონით დადგენილია ტესტი, რომლის მიხედვითაც მოწოდება შეიძლება დაექვემდებაროს პასუხისმგებლობას და ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც „პირი ჩაიდენს განზრახ ქმედებას, რომელიც ქმნის კანონ-საწინააღმდეგო შედეგის დადგომის აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს.“[135] იგივე ტესტს ითვალისწინებს ზემოთ ნახსენები სისხლის სამართლის კოდექსი.

გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისას საკონსტიტუციო სასამართლოც მყისიერი საფრთხის ტესტს ადგენს. „თავისთავად, მოწოდების ფაქტი არ შეიძლება იყოს საკმარისი იმისთვის, რომ პირის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს. მოწოდება იწვევს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას მხოლოდ მაშინ, როდესაც [...] ქმნის კანონსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს“.[136] „განცხადება, რომელიც [...] შუღლს აღვივებს, [...] შეიძლება შეიცავდეს ან არ შეიცავდეს დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების მყისიერ საფრთხეს.“[137] ხოლო იმისთვის, რომ გამოხატვა შეიზღუდოს, სამართალშემფარდებელმა უნდა შეამოწმოს არა მხოლოდ ის განცხადება, აღვივებს თუ არა შუღლს, არამედ ისიც, ქმნის თუ არა ის საფრთხეს.[138] იყენებს რა აშკარა და მყისიერი საფრთხის ტექსტს, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და სისხლის სამართლის დანაშაულის შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო გამოხატვის თავისუფლების დაცვის უფრო მაღალ სტანდარტს აწესებს, ვიდრე ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო, რომელიც იმავეს მხოლოდ პოლიტიკური პარტიის გაუქმების საკითხის გადაწყვეტის დროს აკეთებს.[139] საია მიიჩნევს, რომ სისტემური განმარტების მიხედვით, ქართული კანონმდებლობის მიზანია ასეთი ტიპის მოწოდებები აკრძალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის აშკარა და მყისიერ საფრთხეს წარმოშობს. ამდენად, გასარკვევია თავად ამ სტანდარტის („აშკარა და მყისიერი საფრთხე“) შინაარსი.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპული სასამართლოს ხედვა ამ ტესტის გამოყენების შემთხვევების შესახებ განსხვავდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომისგან, არ არსებობს ეჭვი, რომ თავად ინსტიტუტის შინაარსის შესახებ ამ ორი ორგანოს მიდგომას შორის განსხვავებაა. ამიტომ სტრასბურგის მიდგომა რელევანტურია თავად ამ ტესტის შინაარსის გასაგებად. ევროპული სასამართლოს აზრით, ასეთ დროს უნდა არსებობდეს დემოკრატიული პრინციპების შელახვით გამოწვეული „მწვავე სოციალუ-რი საჭიროება“. ეს კი მაშინ ხდება, როდესაც შემთხვევა კუმულაციურად აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს: (1) დემოკრატიისთვის შექმნილი საფრთხე მყისიერია; 2) პოლიტიკური პარტიის ლიდერების ქმედებები და მოწოდებები შეერაცხება მთლიანად პარტიას; (3) ქმედებები და მოწოდებები, რომლებიც მთლიანად შეერაცხება პოლიტიკურ პარტიას,

[133] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

[134] იქვე, 79-ე მუხლი.

[135] სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი.

[136] იქვე.

[137] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II-97.

[138] იქვე, II-96, 102, 104, 105.

[139] CASE OF REFAH PARTİSİ (THE WELFARE PARTY) AND OTHERS v. TURKEY, 13.02.2003, §104.

მიუთითებს საზოგადოების იმ მოდელზე, რომლის ჩამოყალიბებასაც პარტია გეგმავს და ასეთი მოდელი შეუთავსებელია „დემოკრატიული საზოგადოების“ კონცეფციასთან.[140]

„პატრიოტთა ალიანსის“ მიერ ზემოთ გაანალიზებული ბანერის, ისევე როგორც ვიდეორგოლის, განთავსება არ წარმოშობს დავას, რომ ის მთელი პარტიის იდეოლოგიას აჩვენებს, მაგრამ ვერ აკმაყოფილებს ტესტის სხვა საფეხურებს, სულ ცოტა, არ წარმოშობს მყისიერ საფრთხეს დემოკრატიისთვის. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ „პატრიოტთა ალიანსის“ ქმედებები საიასთვის ეთიკურად მიუღებელია და ეწინაღმდეგება საარჩევნო კამპანიის წარმოების კარგ პრაქტიკას, ორგანიზაციის განმარტებით, ის ჯდება საქართველოს კანონმდებლობის ჩარჩოებში, არ სცდება მას და არ წარმოადგენს კანონდარღვევას.

[140] იქვე.